ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 165
ოთხშაბათი, 4 აგვისტო, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 165
ოთხშაბათი, 4 აგვისტო, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**ტფილისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ მომავალს 1899—1900 სამოსწავლო წელს განმეორებითი ეგზამენები და დამატებითი ეგზამენები დანიშნულია 17 და 18 **აგვისტოსათვის, ხოლო იმათი გამოცდა, ვინც სასწავლებელში აპირობს შესვლას, მოხდება 19, 20 და 21 აგვისტოს.** (5—ნ.—1)

**მაჩხაანის მომხმარებელ საზოგადოების გამგეობა**

ამითი აცხადებს, რომ ამა წლის 8 მარიამობისთვეს სოფ. ქვემო-მაჩხაანში დანიშნულია ხსენებულ საზოგადოების წევრთა **წლიური კრება.** (2—ნ.—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ჩ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. შ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ პირველ ენკენისთვიდგან ქ. ტფილისში არსდება ახალი სამკურნალო საწოლებით ავადმყოფთათვის. ეს სამკურნალო მოთავსებული იქნება ნიკოლოზის ქუჩაზედ, ქ-ნ საგინაშვილის სახლში. სამკურნალო მიიღებს ავადმყოფებს ყოველის სენით შეპყრობილთ, გადამდებ სენით და სულით ავადმყოფთა გარდა. მკურნალებად მიწვეულნი არიან: შინაგან სნეულებათა სამკურნალოდ ბ-ნი ადამიანცი და გ. გ. მაღალაშვილი, სადოსტაქრო სნეულებათა—თ. დ. კ. ერისთავი და ბ-ნი ჩუდნოვსკი, თვალის სნეულებათა—გ. ა. ტარსაიძე და ა. შატილოვი, დედათა სნეულებათა—ი. თუმანიშვილი და ბ-ნი სებასტიანსკი, საბავშვო სნეულებათა—ვ. მახვილაძე და ბ-ნი კოვი, ვენერიულ სნეულებათა—თავ. ი. დ. ბეგთაბეგოვი, ნერვის სნეულებათა — მ. გედევანიშვილი და მასსაჟისა—ს. ი. ვაწაძე, კბილის მკურნალად—ვ. ი ქიქინაძე, ყურისა, ცხვირისა და ყელის სნეულებათა—ბ-ნნი მულინი და კ. გძელიშვილი. სამკურნალოს ეწოდება: „ტფილისის კერძო სამკურნალო მკურნალის მ. გედევანიშვილისა".

სიამოვნებით აღვნიშნავთ ამ ამბავს, რადგან, როგორც ვიცით, ჩვენი ქვეყანა და ნამეტნავად ქ. ტფილისი დიდად ღარიბია სამკურნალოებით და ისინიც დღე ყოველ აბრუნებენ უკან ავადმყოფთ უადგილობისა გამო.

*** ქალაქის საბჭოს პირველი სხდომა საზაფხულო დასვენების შემდეგ განზრახულია 6 სექტემბრისათვის.

*** ამ დღეებში ტფილისის გუბერნატორმა გაუგზავნა ქალაქის მოურავის მოადგილეს ინჟენერის რობის თხოვნა, რომლითაც ეს უკანასკნელი შუამდგომლობს, ნება მომეცით ელექტრონის რკინის გზა გავიყვანო მთა-წმიდის სერზედაო; გუბერნატორის წინადადების ძალით, ეს შუამდგომლობა განსახილველად უნდა წარედგინოს ქალაქის საბჭოს.

*** 31 ივლისს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლებისა და დეპუტატების განსაკუთრებულმა კრებამ, ტფილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით, განიხილა კერძო სათავად-აზნაურო ადგილ-მამულთა გარდასახადის ხარჯთ-აღრიცხვისა და გაწერის შედგენა-დამტკიცების საქმე, და სასარგებლოდ სცნო უფლება მიეცეთ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ შეადგინონ და დაამტკიცონ ხოლმე ეს ხარჯთ-აღრიცხვა და ამიტომაც დაადგინა შედგენილ იქმნას ამ საგნის შესახებ ოქმი, რომლის პირი ტფილისის გუბერნატორს გაეგზავნოსო.

*** ამ დღეებში ტფილისიდგან ახტალის მადნების ფრანგთა ამხანაგობის კანტორაში გაგზავნილ პაკეტიდგან დაკარგულა 3,800 მან. საქმე გამომძიებელს გარდაეცა.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, დამისახელეთ ის კაცი, რომელსაც დაფასების უწყებებში სიყალბის ჩადენა ჰბრალდებაო.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ განსაზღვრულ იქმნეს მკურნალთა სასყიდელი, რომელიც მათ კერძო კაცებმა უნდა მისცენ სამკურნალო დახმარების აღმოჩენისათვის.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ მიიღო შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ღვინოების გამოსაკვლევად დაარსდეს საგანგებო საქიმიო სადგურები და რომ სათანადო დაწესებულებათ დაევალოთ დრო-გამოშვებით გამოიკვლიონ ხოლმე ბაზრებში გასაყიდი ღვინოები, და როცა ღვინოში რაიმე სიყალბეს აღმოაჩენენ, აღძრან საქმე სასამართლოს წესით. ყოველივე ეს შეეხება უცხო ქვეყნის ღვინოებსაც.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველომ განკარგულება მიიღო რკინის გზების მთავარ-სამმართველოდგან იმის შესახებ, რომ გზის მოსამსახურეთა მგზავრობის ახალი წესები, რომელიც წელს იქმნა შემოღებული, გაუქმებულია და ამის შემდეგ იმოქმედებს შარშანდელი წესები. ქალაქის მახლობელ სადგურთა და გზის სამმართველოს მოსამსახურენი ამას იქით მიიღებენ სამგზავროდ არა ორ-ორ უფასო ბილეთს, არამედ ექვს-ექვს—თავისთვისა და ოჯახისათვის; მე-2 კლასით მგზავრობა შეუძლიანთ იმათ, რომელთაც ეძლევათ არა 1,200 მან. წელიწადში, არამედ 600 მან., ხოლო 1-ლ კლასითკი იმათ, რომელთაც ეძლევათ არა 2,500 მან., არამედ 2000 მან. წელიწადში და სხ.

*** როგორც ისმის, ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციას პასუხის გებაში მიუცია სიღნაღის მაზრის სოფ. ველისციხის მცხოვრები თავ. დ. და სხვა კაცები იმის გამო, რომ დ-ს სიმთვრალის დროს შეუკვეთნია კუბო და, როცა იგი დაუმზადებიათ, ჩაწოლილა შიგ, ხოლო მის ამხანაგებს ვითომ მკვდრიანი კუბო უტარებიათ სოფელში ზურნის კრით და ყოველ დუქანთან შესანდობარი უსვამთ.

*** ამ წლის შემოდგომიდგან კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში განზრახვა აქვთ გამართონ საუბრები საზოგადოების წევრთათვის სხვა და სხვა სამეურნეო დარგთა, მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის შესახებ.

## ფელეტონი

**განქიქება და განმარცვლა**

II

ქართული მწერლობა მეათე საუკუნემდე.

„**დავითნი**".

(შემდეგი *)

აღსანიშნავია აგრეთვე თვით სახელწოდება ფსალმუნთა წიგნისა, რომელსაც ძველს თარგმანებში ჰქვიან „დავითი" („დავითნი" მრავლობითი რიცხვია).

უძველესს დროს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკკლესია ამ წიგნს თურმე „დავით"-ს უწოდებდა[1]). აბაშთა დავითნს ბოლოში აწერია: „დასასრული დავითისა". ასურულად მას ჰქვიან დავიდა, ურიულად მიზმურ, ბერძულად პსალტირიონ, სომხურად საღმოს, რომელიც არის დამახინჯებული ბერძულივე პსალმოს, ფსალმუნი.

ამ წიგნს დავით მეფის და წინასწარმეტყველის სახელი დაედვა, თუმცაღა შიგ მრავალი ფსალმუნია, რომელიც არ ეკუთვნის თვით დავითს. ეს მეფე ითვლება უდიდეს და უპირველეს მეფსალმუნედ. იგი ჯერ ყმაწვილი იყო და ცხოვარს მწყსიდა, რომ ქნარს უკრავდა და თან ფსალმუნებდა ტკბილად, ღვთიურად.

დავითნში უმეტესი ნაწილი დავითის ნათქვამი ფსალმუნია და დანაშთენი-კი ეკუთვნით სხვა-და-სხვათ (იხ. ქვემო აღწერა 974 წლის „დავითნისა").

საჭიროა აქვე ორიოდე სიტყვა ვთქვათ თარგმანთა ენის შესახებაც.

წიგნთა სიძველის აღმოსაჩენად, ჩემის აზრით, ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ უფლის ლოცვით.

ტყავზედ ნაწერ სახარებაში (საეკლ. მუზ. № 28), რომელიც დ. ბაქრაძეს მიაჩნია 610 წლისად და ჩვენ-კი არა უგვიანეს 706 წლისა, სწერია (თავი მეექვსე):

მამაო ჩოვენო, რომელი ხარ ცათა შინა. წმიდა იყავნ სახელი შენი. მოვედინ სუფევაჲ შენი. იყავნ ნებაჲ შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა. პოვრი ჩოვენი არსობისაჲ მომეც ჩოვენ დღეს. და მომიტევენ ჩოვენ თანა ნადებნი ჩოვენნი ვითარცა ჩოვენ მიოვტევნეთ თანა მდებთა ჩოვენთა. და ნოვ შემიყვანებ ჩოვენ განსაცდელსა. არამედ მიკსნენ ჩოვენ ბოროტისაგან. რამეთოვ შენი არს სოვფევაჲ და ძალი და დიდებაჲ საოვკოვნეთა მიმართ ამ.

სიტყვებში „მომეც" (მოგუეცის მაგიერ), „მომიტევენ" (=მოგვიტევენ), „ნუ შემიყვანებ" (=ნუ შეგვიყვან), „მიკსნენ" (=გვიკსენ) პირონაცვალ-სახელნი მ (=გუ=გვე), მი (=გვი=გუი) უნდა იყოს ნაშთი იმ დროისა, როდესაც მთელი მოდგმა ქართველთა ერისა მეგრელებთან ერთად უბნობდა ყველასათვის გასაგებს კილოკავზედ.

უუძველესს დროსვე უნდა ეკუთვნოდეს არსებითი ზმნის ფორმები არიედ, რე, არნ, არნნ, ალი ანუ ლი.

ჩვენ დღეს ვამბობთ: უწინარე, ქვემორე და არ-კი გვესმის, რა არის ამ სიტყვების დაბოლოება არე ანუ რე, რომელიც მეგრულის გამოთქმით ნიშნავს იმავე სიტყვას არი, არს.

ჩვენ ვამბობთ მამალი, დედალი, და ვერ-კი გულისხმობთ, რომ აქ „ლი" ნიშნავს იმავე არის სვანურის გამოთქმით.

მამა—ა (ე. ი. მამა არი).=

მუ—ლი (სვანურ.).

მუმა—რე (მეგრულ.).

მაშასადამე „მამალი" და „დედალი" რთული სიტყვებია: მამა არი (და აქედგან „მამრი"), დედა არი (და აქედგან „მდედრი").

ეს „ლი", „რე" თუმცა დღესაც გვხვდება მეტყველებაში, მაგ. „არაფელი" არაფერის მაგიერ, „არალი" არარის მაგიერ, გარნა ჩვენთვის იგინი გაქვავებულია და ძველის ძველ დროის ნაშთად და შენახულა.

ამგვარივე „გაქვავებულ" ნაშთად მიგვაჩნია აგრეთვე არიედ (=ახლანდელს იყო, იყვნენ).

წმ. ნინოს სიტყვებში და მცხეთის „ჯვრის ამაღლებაში" და სხვ. უუძველეს ნაწერებში გვხდება ფორმა ედ:

„კაცნი იგი, რომელ მისრულ არიედ, კუმილვედ."

„რომელნი შორს არიედ გინა თუ ბანაკსა, ხადიედ პატიოსანსა ჯუარსა".

მდაბიურად:

„კაცნი იგი, რომელ მისრულ იყვნენ, ხმილვიდენ".

„რომელნი შორს იყვნენ... ხადოდენ"...

და, მართლაც, „არიედ" წარსული დროის ფორმა ყოფილა.

| | სვან. | მეგრ. | ძველ. ქართ. |
|---|---|---|---|
| წარს. | ხვ არდ | ვ-ორდი | ვ-არიედ |
| უსრული | ხ-არდ | ორდი | ხ-არიედ |
| დრო | არდ-ა | ორდ-უ | არიედ. |

კიდევ ორიოდე ფორმა:

იგივე სწორებაჲ აქუნ, რაოდენცა იგი არნ.

დგან ზეთი იგი

დღისი ჩანნ იგი

სხუა არნ იასპინი [2]) და სხ.

აი სიტყვის „ჩენა"-ს სახეები:

ა. ჩას (=ჩანს) ძალი იგი ცხოველი.

ბ. საგონებელ მაჩს.

გ. ნუ უცხო გიჩნ.

დ. დღისი ჩანნ ბრწყინვალებაჲ.

ე. ჩანს საქმე ესე. ფესვი „ჩ".

რაოდენადაც წიგნი ძველია, იმდენად სიტყვაც მარტივია. თუმცაღა მე-X და მე-XI საუკუნის წიგნებშიაც გვხდება ესრეთი ძველი ფორმები, გარნა იგინი უკვე არხაიზმებია და, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იხმარებიან ანუ წინაპართა მიბაძვით, როგორც იცოდა, მაგალ. ანტონი I-მა, და ანუ იმგვარ მწერალთაგან, რომელნიც ეგრისისა და სვანეთის შვილნი იყვნენ, ანუ აქ და ამათ შორის მიეღოთ აღზრდა.

ყოველ შემთხვევაში, ერთი უეჭველია: ქართული სამწერლო ნაშთების შესწავლა უუძველეს დროიდგან მე-XIX საუკუნემდე ცხად ჰყოფს ქართულის ენის განვითარებასაც; ასე რომ ნაშთების ენის შესწავლით ჩვენ შეგვიძლია თითქმის უცდომლოდ აღ-

*) იხ. „ივერია" № 162.

[1]) Н. Вишняковъ. О происхож. псалтири, გვ. 89, შენიშ. 1.

[2]) იხ. ჩვენი „Драгоц. камни", გვ. 57—58; „ივერია" 1898 წ., № 191.

*** ახალი ნიხრის მიუხედავად, ტფილისის ყასბები გირვანქა ცხვრის ხორცს ისევ 10 კაპეიკადა ჰყიდიან, 7 კაპეიკის ნაცვლად. ისინი საზოგადოდ დიდად უმადურნი არიან ახალი ნიხრისა და ამის გამო ამ უკანასკნელ დღეებში უვარგისს ხორცსა ჰყიდიან.

*** ამ დღეებში დამტკიცებულ იქმნა დ. გ. არუნიანცის აბრეშუმის სახვევ და საგრეხ იარაღთა საქციო საზოგადოების წესდება.

*** ახალი საავთექო ნიხრი, რომელიც შემოიღება სატახტო ქალაქებში 1-ლ სექტემბრიდგან, ხოლო დანარჩენებში— 1-ლ ოქტომბრიდგან, როგორც გაზეთები იუწყებიან, გავრცელებულ იქმნება კავკასიაზედ მომავალ წლის გაზაფხულიდგან. სამკურნალო დეპარტამენტს ნება დაურთავს მომატებულ იქმნას საავთიაქო ნიხრი 20%-ით კავკასიის მეავთიაქეთათვის, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ ტფილისში და ყველა იმ ქალაქებსა და სოფლებში, რომელნიც რკინის გზის ლიანდაგთან მდებარეობენ, დარჩეს საზოგადო საიმპერიო ნიხრი.

*** საერო განათლების სამინისტრომ ბრძანება მისცა კავკასიის სამოსწავლო ოლქს, წარმოადგინეთ ცნობები კავკასიის საერო სასწავლებელთა დღევანდელ მდგომარეობის შესახებ და ამასთან აღნიშნეთ ის ზომები, რომელიც ხელს შეუწყობს კავკასიაში საერო განათლების გავრცელებასაო.

*** ტფილისის მესამე საქალებო გიმნაზიაში დამატებითი ეგზამენები დანიშნულია 23, 24, 25 აგვისტოსათვის, ხოლო მისაღები ეგზამენები —26, 27 და 28 აგვისტოსათვის. უფროს კლასებში (მე-V, მე-VI და მე-VIII-ში) მოსწავლეთა მიღება არ იქნება უადგილობის გამო.

*** გზათა სამინისტროს, როგორც ისმის, წინადადება მიუცია ყარსის რკინის გზის გამგეობისათვის, გარდა ეცით ეგ გზა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოსაო.

*** ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს მოხელე ე. ა. ბაგრატოვი, როგორც ისმის, დანიშნულია დუშეთის ქალაქის ბოქაულად.

*** ქალაქის გამგებამ გაგზავნა მიწათმზომელი ბ-ნი ლარიონოვი სოფ. ღრმაღელეში ადგილობრივის აგარაკების პატრონთა იმ შუამდგომლობის საქმის გამოსარკვევად, რომ ამ სოფელს წყალი მიეცეს ქალაქის წყლის მილიდგან.

*** მისაღები ეგზამენები ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის მოსამზადებელსა და პირველ კლასში დანიშნულია 27 და 28 აგვისტოსათვის, ხოლო დამატებითი ეგზამენები-კი ყველა კლასებში—23, 24, 26 და 27 აგვისტოსათვის. თავისუფალი ადგილი არის: მოსამზადებელს კლასში—20, პირველში—16; დანარჩენ კლასებში კი თავისუფალი ადგილი არ არის. თხოვნები მიიღება აგვისტოს 21-მდე.

*** გორის მაზრის სოფ. კავთისხევის მცხოვრებმა ქალმა ნინო ალომიშვილისამ მოჰკლა თვისი უკანონოდ დაბადებული ვაჟი. ამ დანაშაულის ჩადენის მიზეზი შემდეგი გარემოება იყო: ეს ახალგაზდა ქალი ამას წინად მისთხოვდა კავთის-ხეველ გლეხს ივ. ალომაშვილს და უდროვოდ ჰშობა ვაჟი, ეს ქალი გათხოვებამდე დაორსულებულიყო სხვისაგან, რასაც ქმარი დიდად თურმე უსაყვედურებდა მას. ამან ძლიერ იმოქმედა ქალზედ და ახალგაზდა დედამ თვისის ხელით მოჰკლა თავისი პირმშო. თითქო ამით ჰსურდა თავი დაეხსნა ქმრის საყვედურებისა და ეჭვებისაგან. („ახ. მიმ.“).

*** „ტფ. ფ.“-ს ატყობინებენ, რომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს გამოჰგზავნოს კავკასიაში მცოდნე კაცები ტფილისისა, ქუთაისისა და შავი ზღვის პირის გუბერნიებში ახლად აღმოჩენილ ნავთის ადგილების გამოსაკვლევად.

*** ზოგიერთა გერმანულ კაპიტალისტების რწმუნებულთ მოლაპარაკება ჰქონიათ ქუთაისის გუბერნიის ტყის პატრონებთან იმის შესახებ, რომ ამათგან იყიდონ ტყეები ხეების, უმთავრესად მუხის, მოსაჭრელად. ტყის პატრონები სიამოვნებით თურმე სთანხმდებიან ასეთ წინადადებაზედ, რადგან წინ-დაწინ ფულის მიღება დიდად თურმე ახარებთ. („ტფ. ფ.“)

*** როგორც „Рус. Вѣд.“ იუწყება, მიწად მოქმედების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ იმ ადგილებში, სადაც მევენეობას მისდევენ, დაწესებულ იქმნას მევენეობის ინსპექტორის თანამდებობა. ასეთ ინსპექტორს განსაზღვრული ადგილი ექმნება ჩაბარებული, სადაც მან მევენეობის საქმეს თვალ-ყური უნდა ადევნოს.

*** „კავკაზის“ სიტყვით, მომავალ წლის გაზაფხულზედ სამეცნიერო ექსპედიცია გამოემგზავრება ყირიმსა და კავკასიაში სიძველეთა და არქეოლოგიურ მხრით საყურადღებო ადგილთა ადგილობრივ შესასწავლად.

*** „ახ. მიმ.“-ს აუწყებენ, რომ ამ ჟამად გზათა უწყების მოხელეთ გაჰყავთ ახალი გზები შავი ზღვის პირის გუბერნიაში იმ ფულით, რომელიც ამ აზრით იქმნა მთავრობის მიერ გადადებული. ხოლო არსებულ გზების შესაკეთებლად დანიშნულია 3702 მან.

*** ნამეტანის გვალვის გამო ქუთაისის მაზრის მთა-გორიან ადგილებში სიმინდის მოსავალს ნაკლებ სანუგეშო პირი უჩანს. გვალვამ ისე ცუდად იმოქმედა ვენახებზედაც, რომ იმის მესამედი მოსავალიც არ იქნება წელს, რასაც მცხოვრებნი მოელოდნენ. („ახ. მიმ.“)

*** დ. სახხერე, (შორაპ. მაზრა). წრეულს ჩვენში ივნისის შუა რიცხვებამდის მოსავალს მეტად კარგი პირი უჩანდა; მაგრამ შემდეგ ისეთი სიცხეები დადგა, რომ თვე ნახევარზე მეტი იქნება, რაც ჩვენსკენ წვეთი წვიმა არ ჩამოვარდნილა. გვალვამ ისე მოშუშა ყოველი მოსავალი: სიმინდი, ფეტვი და სხვა, რომ იმის მეხუთედსაც აღარ გამოველით, რის იმედიც ორის თვის წინად გვქონდა. ხალხი მეტად სასოწარკვეთილებაშია; აღარ იცის, რა ჰქმნას: მთელის წლის სარჩო-საზადებელი ხელიდამ გამოაცალა საწყალს მუშა-ხალხს ამ სიცხეებმა.

*** ს. ამბროლაური, (რაჭა). დიდი ხნის მიძინებულმა უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველომ ამბროლაურში ისევ გამოიღვიძა. ამას წინად მისმა წევრებმა თავი მოიყარეს და ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ რვა თუმნამდის საწევრო ფული შეაგროვეს. ამ ფულებიდგან ხუთი თუმანი ლევან ხიდურელს მისცეს წიგნთ-საცავისათვის წინა წლების სახლის ქირა და დანარჩენი სამი თუმანი წიგნების დაკაზმას და ჟურნალ-გაზეთების გამოწერას უნდა მოხმარდეს. აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ლევან ხიდურელს ხუთმეტი თუმანი ერგებოდა სახლის ქირა, მაგრამ იმდენი გულკეთილობა გამოიჩინა, რომ ათი თუმანი დაუთმო წ[ი]გნთ-საცავს, ვინაიდგან, როგორც მოვიხსენიეთ, მხოლოდ სამი თუმანიღა დარჩა წიგნთ-საცავს და ეს ფული იმდენად მცირეა, რომ იმას დიდად ვერ წასწევს წინ, ვთხოვთ ამგვარ საქმეებისათვის გულშემატკივართ დროებით შემწეობა აღმოგვიჩინონ.

## მეაბრეშუმეობა საქართველოში.

(წერილი გურიიდგან)

(შემდეგი *)

თუ სრულიად კავკასიაში მეაბრეშუმეობის გაღვიძების ინიციატივა და ღვაწლი ტფილისის სააბრეშუმო სადგურს ეკუთვნის, კერძოდ გურია—ქვემო იმერეთში მეაბრეშუმეობის იმ ხარისხამდინ აყვანას, რომელზედაც იგი ეხლა სდგას, ძლიერ შეუწყეს ხელი სოფლის მასწავლებლებმა და ამხანაგობებმა. წერეთლებმა—იმერეთში, შარაშიძე-ჯორბენაძეებმა—გურიაში მარტო სწავლა-განათლებით-კი არ წასწიეს წინ მკვიდრნი, იმათ არა მცირე წილი უდევთ ეკონომიურად ხალხის დაწინაურებაშიაც.

ჯერ კიდევ 1885 წელს სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნება-დართვით ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელმა მოიწვია ვინმე კადიანი (რუსი), რომელსაც პრაქტიკულად უნდა ესწავლებინა მოსწავლეთათვის მეაბრეშუმეობა. ამ საქმისთვის სკოლამ თავისი საშუალებით და თ. გრიგოლ გურიელის ნივთიერ დახმარებით ააგო საქალაქო ბაღში საჭიე სახლი საორთქლავითურთ. კადიანმა ოზურგეთში ასე თუ ისე იმუშავა ერთს თუ ორ წელიწადს. იმის შემდეგ საქალაქო სასწავლებელთან აბრეშუმის ჭიების გამოყვანა არ შეუწყვეტიათ. თუმცა ხსენებული მეაბრეშუმე დიდის დაბრკოლებით უშვებდა არა-მოსწავლეს ოზურგეთის საჭიეში, მაგრამ ცნობის-მოყვარეობამ თავისი გაიტანა და ბევრი გაეცნო საქმეს. მეორე წელიწადს ოზურგეთში ბევრმა მიჰყო ხელი ჭიების გამოყვანა გაცოცხლებას. $1885/_{86}$ სამოსწავლო წელში ამავე ქალაქში შეჰკრიბეს სოფლის მასწავლებელნი და შეასწავლეს თეორიულად მეაბრეშუმეობა. ამის შემდეგ ჯერ ტფილისის სამეურნეო საზოგადოება უგზავნიდა სოფლის მასწავლებლებს თესლს უსასყიდლოდ ან ხელ-საყრელ პირობით და მერმე საბრეშუმო სადგურმაც დაიწყო სადი თესლის გავრცელება ხალხში სოფლის მასწავლებელთა შემწეობით. ზოგმა ამ უკანასკნელთაგან, შეისწავლა ცელიულიარულად გრენის დამზადება. რამდენიმე სოფლის მასწავლებელი ეხლაც ამზადებს გურიაში იმ რიგად თესლს და ხალხში ასაღებს. ერთის მხრით სასოფლო მასწავლებლებისა, „შუამავალისა“ და კერძო კაცთა

*) იხ. „ივერია“ № 164.

---

ვნიშნოთ თვით საუკუნე მათის დაწერისა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ კიდევ ხუთი ძეგლი, რომელნიც ჰლაღადებენ, რომ მეათე საუკუნემდე ქართველების მწიგნობრობა გაძლიერებული ყოფილა.

ა. 978 წელს გადაწერილს დაბადებას, „მეფეთა წიგნის ბოლოს, შემდეგი წინასიტყვაობა აქვს (საეკლ. მუზ. №, გვ. 334):

„ვითარცა ზღუაჲ შეიკრებს ძლიერებასა მდინარეთასა და არა გარდაეცემის, ეგრეთვე ეკლესიაჲ დღითი-დღე სწავლასა წმიდათა მოძღვართასა, და იგი აღ[ა]ავსე წესსავე ზედა ჰგიეს და მარადის ქადაგებს და იტყვის: „იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ რომელი ეგოს ცხორებად საუკუნოდ“. რომლისათჳსცა მე იოანე, თორნიკ უფიდმან, ³) ძემან სულკურთხეულისა ჩორდვანელისამან, მოვიგე წმიდა ესე „წიგნი მეფეთაჲ სალოცველად თავისა ჩემისა და ძმათა ჩემთა და შვილთა ჩემთათვის და მოსახსენებელად სულსა ყოველთა მიცვალებულთა ჩემთასა.—აწ წმიდანო ღუთისანო, ვინცა იმსახურებდეთ წმიდასა ამას წიგნსა, ხსენებულმცა ვარ წმიდათა შინა ლოცვათა თქვენთა, რათა თქვენცა სასყიდელი ზეცისა მოგენიჭოს. კურთხეულ არს მწერალი, ქებულ არს მკითხველი, მადლი მსმენელთა. ამინ.

„დაიწერა წმიდა ესე წიგნი კელითა სამთა მწერალთაჲთა: მიქაელისითა, გიორგისითა და სტეფანესითა. ჩუენთჳსცა ლოცვა ყავთ, წმიდანო ღუთისანო. ამინ.

„ოდეს ნანდვილი ესე ბიბლია დაწერილან, ქორონიკონი ყოფილა რჟႭ“ (=978 წ.).

აქედგან სჩანს, რომ თორნიკს მოუგია მხოლოდ „მეფეთა წიგნი“ და გადუწერინებია უკვე არსებული ბიბლია.

და რომ ბიბლია არსებობდა წინადაც, ამას ცხად ჰყოფს აბოსი და გობრონის ცხოვრება.

ბ. აბოს ცხოვრებაში არის შემდეგი საყურადღებო ადგილი:

„ესე არა თუ რაჲმე თავით თჳსით განგიმარტე თქუენ, ქრისტჱს მოყუარენო და სწავლის მოღუაწენო, არამედ წამებითა წიგნთაგან საწინასწარმეტყუელოთა და მოციქულთა ქადაგებისამებრ და წმიდათა სახარებათა წერილნი და ნეტართა მამათა მოძღუართა მიერ განსაზღვრებული სარწმუნოებაჲ“.

შემდეგ კიდევ: „ვითარცა იგი იტყჳს წმიდასა სახარებასა შინა. და წარმოვიდა (წმ. აბო არაბეთით) აქა ნერსჱს თანა-მგზავრ ქრისტჱს სიყუარულისათჳს, და რაჟამს მოვიდა იგი (აბო) ქართლად, ცხოვნდებოდა იგი ნერსე ერისთავისათანა, და თვისითა სათნოებითა იქმნა იგი საყუარელ ყოვლისა ერისა, და შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრობისა ჱ ზრახვისა კანონად.

„მაშინ იწყო ზედა-მიწევნად და სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა შჯულისათა, და მოვიდის იგი წმიდად ეკლესიად და მარადის ისმენნ წმიდათა სახარებათაგან საკითხავთა საწინასწარმეტყუელოთა და მოციქულთასა და მრავალთაგან შჯულის მეცნიერთა იკითხავნ და ისწავებნ.

„ხოლო რომელნიმე რეცათუ ცილობით წინააღუდგებინ, არამედ მიზეზ სწავლის ექმნებიან მას და ესრეთ სრულ იქმნა იგი ყოვლითა მოძღურებითა, რომელი აქუს წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა ქრისტჱს მიერ“.

რახან აბო, როგორც უკვე ვთქვით, ეწამა 786 წელს, განმარტება აღარ უნდა, რომ ამდრომდე ამ წმიდანს ქართულ ენასთან ერთად შეუსწავლია აგრეთვე წიგნები ძველისა და ახლის შჯულისა: საწინასწარმეტყველონი, სახარება, სამოციქულო, მამათა მოძღვრებანი. ⁴).

გ. ცხოვრება გობრონისა, რომელიც ეწამა 914 წლის ახლო ხანს, აშოტ-კუხის († 918 წელს) ბრძანებით აღწერა სტეფანე მტბევარმა. ეს ბრძენი მაკურთხეველი თავის უხრწნელს ძეგლში საღვთო წიგნებს ისე იხმარებს, თითქოდეს ყველა „მამათაჩვენოსავით“ გაზეპირებული აქვსო. სახელდობრ:

იტყჳს იობ: „ნეტარ არს კაცი, რომელსა ამხილა უფალმან, და სწავლასა ყოვლისა მპყრობელისასა ნუ განიშორებ, რამეთუ მან ალმის და კუალად აგის“.

სოლომონ იტყჳს: „შვილო, უკუეთუ მოხუალ მონებად უფლისა, თავი შენი განუმზადე განსაცდელსა“.

მოციქული იტყჳს: „სულთათჳს არს მტკიცე იგი საზრდელი“...

დავით იტყჳს: „ამაღლდი, მსაჯულო სიმართლისაო, და მიაგე მისაგებელი ამპარტავანთა“.

პავლე იტყჳს: „ამისთჳს მოიწიოს რისხუა ღუთისა ნაშობთა ზედა ურჩებისათა, ვითარცა დასაბამსა დაბადებისასა ნოეს ზე აგებულებაჲ თჳსი ვერ ესწავა უმადლოთა მათ ნათესავთა“...

ელია იტყჳს: „რაჲ ძეს ჩემი და სახლისა მის აქაბისი“...

ვითარცა თქუა მოსე: „დავსდებ თქუენზედა კურთხევასა“...

ვითარცა თქუა იერემია წინასწარმეტყუელმან გოდებათა მისთა: „სიტყუა გმობილთა შეაწუხეს სული წმიდაჲ“...

იტყჳს ესაია წინასწარმეტყუელი: „მისცნა იგინი მახვილსა ბოროტსა“...

სომეხთო, შენიშნავს იგივე სტეფანე მტბევარი, მოციქულთა მიერ ქადაგებული მართლ-მადიდებლობისა იგი სარწმუნოებაჲ კათოლიკე

³) ეს იოანე თორნიკ ყოფილი, გამოჩენილი სარდალი იყო. იგი ათონს დასახლდა. უკვე ჩოხოსანი იყო, რომ ქართველთა ლაშქრით კონსტანტინეპოლი იხსნა განსაცდელისაგან. თორნიკის შესახებ საუბარი გვექნება მე-II წერილში.

⁴) წმ. აბოს ცხოვრება, რომელიც შედგენილია 820 წ., ჩვენ გადმოწერილი გვაქვს საეკლ. მუზეუმის მე IX—X საუკ. ტყავზედ ნაწერ ძეგლებიდამ და დავბეჭდავთ, როდესაც შევიძლებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახმარებით ხალხს გაუადვილდა ასეთის თუ ისეთის თესლის შეძენა, და მეორე მხრით, აბრეშუმის ნაწარმოების ბაზარი გაუადვილა ხსენებულმა „შუამავალმა“, რომელმაც დაარსებისთანავე პარკის ფასი ასწია გურიაში. მართალია, ჩვენებური მეაბრეშუმე ღირებული ფასის მიღებას თავისს ნაწარმოებ-ნაშრომში ჯერ კიდევ ვერ ჰღირსებია, მაგრამ გაჭირვების დროს ესეც კარგია. მეაბრეშუმეობის დიდის ნაბიჯით წინ სვლას ჩვენში შემდეგი ცნობებიც გვიჩვენებენ: წარსულს 1898 წელს კავკასიაში შემოუტანიათ უცხოეთიდამ (უფრო-კი ოსმალეთიდამ)—314 ფუთი 33 გირ. თესლი, ღირებული 500,736 მანეთად. რამდენიმე ნაწილი ამ თესლისა, ასე, დაახლოვებით, 100—150 ფუთი სპარსეთისაკენ და თურქესტანში წაუღიათ, ხოლო დანარჩენი კავკასიას მოუხმარია. ამას დაუმატეთ ადგილობრივი მეთესლეების შინაური თესლი, იაპონური მწვანე ჯიშისა, რომელსაც, თუ არ ვსცდები, გურიაში „ორ მოსავალს“ ეძახიან. გაცილებით სხვაზე მეტი აბრეშუმი მოუყვანიათ შარშან დასავლეთ საქართველოში (ქუთაისის გუბერნიაში) სახელდობრ—60,000 ფუთი ნედლი პარკი, აქედამ 27,000 ფუთი პარკი ქვემო იმერეთში (ქუთაისის მაზრაში) მოსულა, სენაკისაში—11,000 ფ. და ზუგდიდის მაზრაში—10,000 ფუთი, სულ სამეგრელოში 21,000 ფ., გურიაში—8,000; დანარჩენ ადგილებში კი 3,000 ფუთი. გარდა ამისა მეორედ გამოიყვანეს მეაბრეშუმეებმა ჭიები და გააკეთებინეს 18,000 ფუთი ნედლი პარკი. მაშასადამე, წარსულს წელს მარტო დასავლეთ საქართველოში მოუყვანიათ 80,000 ფუთამდინ ნედლი პარკი, ფასად ერთი მილიონი მანათისა. 40,000 ფუთზე მეტი პარკი შარშან უცხოეთში გაუტანიათ, სხვა კი ადგილობრივ მოუხმარიათ. ამ მდგომარე წლის მეაბრეშუმეობის შესახებ ქუთაისის გუბერნიაში ცნობების შეკრება შეუძლებელია ჯერ-ჯერობით. კერძოდ გურიაში რამდენი თესლი გაიყიდა წელს, ესეც ვერ გავიგეთ, მხოლოდ მოგვყავს რამდენიმე ცნობა გურიის „შუამავლის“-ა ამის შესახებ: წელს ამ ამხანაგობას შეუძენია 12 სხვა და სხვა ფირმისაგან 3,500 კოლოფი თესლი, თითოში ექვს-ექვსი მისხალი, სულ 21,000 მისხალი ანუ 5 ფუთი $18^3/_4$ გირვ. ღირებული 8,400 მანეთად, ხოლო გაუყიდნია 8,560 მან. გარდა ამხანაგობისა აბრეშუმის თესლი გაჰყიდეს წელს სხვა და სხვა კერძო კაცებმა, როგორც მაგალითად—თავართქილაძემ, სულუხიამ და მრავალმა სხვამ, ჩვენებურმა და უცხოელმა. რამდენიმე ადგილობრივი სოფლის მასწავლებელნიც ავრცელებდნენ წელს თავისს ცელიულიარულს თესლს. ფასი ერთი მისხალი თესლისა იყო 30—50 კაპ., ზოგი ვაჭარი მეტ ფასშიაც ჰყიდდა. უმეტესი წილი გურიაში გაყიდულის თესლისა ბაღდადური ჯიშისა იყო (თეთრი), მცირე ნაწილი-კი—ფრანგულ-იტალიური ჯიშისა. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არ უნდა ჩაითვალოს სასურველად, რადგან ბაღდადური ჯიშის ჭიები არ აკეთებენ ისე კარგი ღირსების აბრეშუმს, როგორც ევროპიული ჯიშისა. წელსაც ტფილისის სააბრეშუმო სადგურმა დაურიგა სალი თესლი რამდენსამე სკოლას გურიაში. ასე თუ ისე, ამ სადგურისაგან გაცემული თესლი ისე მცირეა მთელს მაზრაში, რომ ანგარიშში მიღებაც ძნელია. ნათქვამიდამ მკითხველი დაინახავს, რომ აბრეშუმის თესლის გაყიდვა უვარდება ხელში ათასი ჯურის ხალხს: ნასწავლს და უსწავლს, პატიოსანს და უპატიოსნოს. საზოგადოდ აბრეშუმის თესლის სყიდვა-გასყიდვა ძველის წესით სწარმოებს ჩვენში. ეს დიდს ზარალს აძლევს ხალხს. როგორც წინა წლებში, ისე წელს ბევრი მუშა-დედა-კაცი აატირა დასნეულებული თესლის ყიდვამ: ორ-სამს ჩემს ნაცნობს გლეხს თორმეტ-თორმეტი მისხალი თესლი ისეთი გამოადგა, თითქო წყალში ჩაეყაროს იმის ფასი—ექვსი მანათი; ზოგს ცხრა მისხალი თესლიდამ გამოსული ჭიები დაეხოცა, ზოგს ოთხიდამ და სხვ. ჭიები დაიხოცნენ, უმეტეს ნაწილად, დიდ-კანიდამ (უკანასკნელი კანის ცვლა ჭიისა) ამოსვლის შემდეგ, ესე იგი სწორედ იმ დროს, როცა ჭიები იწყებენ ხოლმე ცახზე ასვლას და პარკის კეთებას. გამოდის, რომ ერთი თვე ტყუილად იშრომა, მოსცდა კაცი, ფოთოლის ფულიც დაჰკარგა და თესლისაც; სულიერი ტანჯვა-მწუხარება გაწბილებული მეაბრეშუმისა კიდევ სხვაა. ვინ იტყვის, რომ ჭიების დახოცვაში ხშირად თითონ ჩვენი მეაბრეშუმეების უმეცრება-უსწავლელობა არ იყოს მიზეზი; უმეცრება ბევრ ნაირად იჩენს ხოლმე თავს. აი ამის მაგალითიც: ერთს გლეხს ჭიები დაეხოცა წარსულს მაისში; დახოცილი ჭიები იქვე ეზოში გადაეყარა; ეზოში მოსიარულე ძროხას გემო გაეცნო ჭიებისა და კიდევაც ბლომად მიერთმია ეს უცხო საჭმელი. ძროხას აწყინა, მოკვდა და პატრონი, ვინ იცის, რას არ აწერდა საქონლის სიკვდილს, მაგრამ ადგილობრივმა ბეითალმა ბ. ჩ—მა გასჭრა ძროხა და ნათლად დაანახვა საწყალს გლეხს ნამდვილი მიზეზი ძროხის სიკვდილისა.

ივ. ხოტეველი.

(დასასრული იქნება)

## რუსეთი

— უწმ. სინოდთან არსებულმა სასწავლებელთა საბჭომ შეიმუშავა დროებით პროგრამმები მეორე-კლასიან სამრევლო-საეკლესიო სკოლებისათვის. ეს პროგრამმები უკვე დაიგზავნა ეპარქიებში იმ აზრით, რომ საპედაგოგიო სებჭოებმა განიხილონ და თავიანთი აზრი წარუდგინონ იმათ შესახებ.

— როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, პეტერბურგსა და მოსკოვს შუა ტელეფონი იქმნა გამართული. ეხლა აზრადა აქვთ ტელეფონით პეტერბუგი და ქ. რიგაც შეაერთონ.

— როგორც „Пет. Вѣд.“-ი იუწყება, შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ახლო მომავალში შეუდგება იმ კანონ დებულებათა გადასინჯვას, რომელიც სოფლის მცხოვრებთ შეეხება. აზრადა აქვთ შესაჩნევი ცვლილებანი მოახდინონ ამ კანონებში.

— საეკლესიო სიძველეთა დასაცველად სასულიერო უწყებას აზრადა აქვს ყველა ეპარქიაში ადგილობრივ სემენარიებთან დაარსოს სამუდამო საეკლესიო-საარქეოლოგიო კომიტეტები. ამ კომიტეტების დანიშნულება ის იქმნება, რომ შეჰკრიბონ ყოველგვარი საეკლესიო ნივთი ან ხელთ-ნაწერი, აღნუსხონ, აღწერონ და, რამდენადაც შესაძლებელი იქმნება, მეცნიერულად გამოიკვლიონ კიდეც. კომიტეტთან სიძველეთა შესანახად დაარსებული იქმნება მუზეუმი ან სიძველეთ-საცავები. მთავარი საარქეოლოგიო კომიტეტი დაარსებული იქმნება პეტერბურგში უწმ. სინოდთან.

## უცხოეთი

**ინგლისი.** საზოგადოებათა პალატის დეპუტატს იერბურგს „Natinal Review“-ში წერილი დაუბეჭდია შემდეგი სათაურით: „ჩვენი მოვალეობა ჩინეთში“. ამ წერილში ავტორი წინააღმდეგობას აცხადებს იმას შესახებ, რომ ინგლისის მთავრობას კინწლაობა აქვს რუსეთთან ნიუ-ჩუანის რკინის გზის გამო. იერბურგის აზრით, ასეთი წვრილმანი ღონისძიებით ინგლისი ვერ შეაჩერებს რუსეთს, რომელიც ადრე იქნება, თუ გვიან, მანჯურიის რკინის გზას უთუოდ შეუერთებს პეკინს. იერბურგი არც ლორდ ბერესფორდის თანხმაა ინგლისის დაკავშირების შესახებ გერმანიასთან და შეერთებულ შტატებთან, რადგან, მისის სიტყვით, ეს სახელმწიფონი ინგლისის გულისთვის ნარს არ დაუწყებენ გლეჯას. იერბურგის აზრით, ყველას ის ემჯობინება ინგლისისათვის, რომ დასახელებულ, იქმნას ადგილები ჩინეთში, სადაც მას უნდა ჰქონდეს გავლენა და სამოქმედო ნიადაგი. ინგლისის გავლენის ქვეშ უნდა დარჩეს იან ცზის მთელი ხეობა. საზოგადოდ ავტორს ისა სურს, რომ ჩინეთი მეორე ეგვიპტე გახდეს: ინგლისმა იურიდიულად არც ერთი ფეხის დადგმა ადგილი არ დაისაკუთროს, მაგრამ ნამდვილად-კი ყველაფრის ბატონი და პატრონი თითონ იყოს. ამასთანავე ისეთი კულტურა შეიტანოს იქ, რომ ხალხს ევროპიულად განუვითარდეს გემოვნება, რათა ინგლისის მწარმოებლებს მეტი სარგებლობა მიეცეთ ამ გზით.

— დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისში პროფესორ ონტონის სიტყვამ, რომელიც წარმოთქმულ იქმნა ბრიტანიის ექიმთა საზოგადოებაში პორტსმუტში. პროფესორის სიტყვიდგან ცხადათ სჩანს, თუ რა არა-სანიტრულს მდგომარეობაში ყოფილა სანიტარულის მხრით ინგლისის ფლოტი. თითეულს სამხედრო გემზედო, —სთქვა ონტონმა,—ყველაფერია, რაც ხალხის ამოსახოცად არის საჭირო, მაგრამ, სამაგიეროდ, საჭირო რომ დარჩეს დაჭრილების მოვლა, ძლიერ ნაკლებად იშოვით როგორც ჭრილობის შესახვევ მასალას, ისე ექიმებსო. ორატორის სიტყვით, სამხედრო დეპარტამენტი ერთობ ცოტა ყურადღებას აქცევს ამ ფრიად საჭირო საგანს. საავადმყოფოს მსახურნიო, სთქვა პროფესორმა, მხედრობაში საზოგადოდ ყველგან სუსტობენო, მაგრამ ფლოტზე კიდევ უფრო მომეტებულადო. ბოლოს დაუმატა ონტონმა, რომ ასეთი ნაკლულევანება მარტო ინგლისის ფლოტს არა სჭირს, ეგევე სენი მთელი ევროპის ყველა სახელმწიფოს ფლოტის სატკივარს შეადგენსო. მისის აზრით, ყველა ფლოტს უნდა ჰქონდეს საავადმყოფო გემი, რომელზედაც წითელი ბაირაღი უნდა იყოს ამართული.

—

**კრიტი.** კრიტის ხარჯთ-აღრიცხვის გამო იუწყებიან გაზეთები, რომ კრიტის მინისტრები და სხვა მოხელენი

---

ეკლესიისა განაგდეს და მოძღუართა მიერ განწესებული კანონი საეკლესიო შეურაცხ-ჰყვეს“.

ცხადია, აშოტის სიკვდილამდე (918 წ.) და აბოს ცხოვრების დაწერამდე (820 წ.) ყველა აღნიშნული წიგნები თარგმნილი ყოფილა.

დ. „მამათა მოძღვრებად“ (იხ. ზემო „ბ“ და „გ“) უნდა იგულისხმებოდეს „სვანური კრებულისთანა“ წიგნი. ეს ეტრატზე ნაწერი წიგნი მე IX—X საუკუნისაა (იხ. საეკ. მუზ. № 19). მას თავი და ბოლო აკლია. დანაშთენში არის განმარტება სხვა და სხვა საეკლესიო კითხვათა და წეს-კანონთა. ვითარცა:

სიტყუა იოანე ოქროპირისა. მამისა ჩუენისა ეპიფანეს თქმული სარწმუნოებისათჳს. წმ. იოანე კოსტანტინეპოლელ მთავარ-ეპისკოპოსის თქმული ქრისტეს შობისათჳს. ათანასე ალექსანდრიელის თქმული ქრისტეს განკაცებისათჳს. წმ. კლემენტოსის თქმული წამებულთათჳს. გრიგოლ ღუთისმეტყუელის თქმული ქრისტეს შობისათჳს. იმავე საგნის შესახებ გრიგოლ ანძიაძორელის თქმული. ისტჳნიანეს მიწერილობა იერუსალიმს მიგებებისათჳს ხარებისა, შობისა და ნათლისღებისა. პეტრე იერუსალიმელის თქმული შობისათჳს უფლისა. იმავე საგნის შესახებ თქმული ევსევი ეპისკოპოსისა. გამოცხადებაჲ ზაქარიაჲსი, სჳმეონისი, იაკობისი და სხ. იოანე ოქროპირის თქმული ტაძრის მწერალთათჳს, კსენება სტეფანე პირველ მოწამისა. წამებაჲ პავლე მოციქულისა რომს. ქებაჲ პავლესი და პეტრესი ი. ოქროპირის მიერ. ცხოვრებაჲ დიონოსისი სოკრატის მოწაფისა. ეპისტოლე დიონოსისა. წმ. იაკობ ბატანელ ეპისკოპოსის თქმული ხარებისათჳს. საქმენი და სწავლანი იოვანე მოციქულისნი და მოწაფისა მისისა პროხორესი. ბასილისა და მისის ცოლის მოქცევა იოვანეს მიერ. მგლის გამოჩინებისათჳს. გამოცხადებისათჳს იოვანესაჲ. საკითხავი სახარებისათჳს იოვანეს თავისა: ვითარ გამოთქუა იოვანე, და რაჲსათჳს, და რომელსა ადგილსა და რომელსა ჟამსა. საკითხავი იოვანე ოქროპირისა: იოვანესთჳს. ცხორება ბასილი კესარიელკაბადუკიელისა, თქმული ამფილოოქი იკონიელისა. სიტყვა ეფრემისთჳს, თქმული ბასილის მიერ. პეტრესი ხუცის შესახებ. სიტყუაჲ ბასილისი და გრიგოლისი. აღსარებაჲ თევდორესი ჰურიათა მთავრისაჲ. ნათლისღებისათჳს თქუმული: იოანე კოსტანტინე პოლელისა, იოანე ოქროპირისა, კჳრილესი, წმ. ნინოსი, წმ. ევსებისი. წამება წმ. ჰაბოჲსი ტფილისს. ცხორება მამისა ანტონისი. ყოველთა წმიდათათჳს იოანე კოსტანტინეპოლელისა. თარგმანებაჲ მარტჳლთაჲ მისივე. მოწამეთათჳს იოანე ოქროპირისა. ქალწულობისათჳს მისივე. გამოჩინებისათჳს ჯუარისა...

სტეფანე მტბევარი მამათა მოძღვრებადვე უწოდებს მსოფლიო კრებათა დადგენილებას: სომეხთ „მოძღუართა მიერ წმიდათა კრებათა, ღუთივ სულიერისა, განწესებული კანონი საეკლესიო შეურაცხ ჰყვეს.“

ამ დროს ეს „კანონებიც“, თუ ვრცლად არა, მოკლედ მაინც გადმოღებულ იქმნებოდა, რასაკვირველია.

ე. № 19 ზედ უფრო ვრცლად მამათა ცხოვრება შეტანილია ეტრატისავე მე X საუკ. წიგნებში (№ 95 და № 144). მათში მოიპოვება, სხვათა შორის, წმ. ნინოს ქადაგებანი (იხ. ჩვენს წიგნში „Исторія Груз. церкви“), ჯვრის ამაღლება მცხეთას, ცხოვრება აბოსი, შუშანიკისა, მოძღვრება ბოლნელ ეპისკოპოსისა და მრ. სხვა საგულისხმო წერილები.

№ 95-ის 1222 კაბადონზე (დიდის თაბახის ზომის წიგნია, თავი აკლია და მაინც შეიცავს 1316 კაბადონს) გადამწერი შენიშნავს:

„დიდებაჲ შენდა, სამებაო წმიდაო. დასრულდა წამებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ საკითხავები. თავი: ლჲ.

„კურთხეულნო ერნო მომავალნო, რომელნი ჩუენსა შემდგომად ყოფად ხართ!

„პირველ ოდეს ამას წიგნსა დავიწყე, ესრე მედვა გულსა, ვითა დედათა წამებაჲ და ცხორებაჲ ოდენ დავწერო და მით გავასრულო, და ვიხარკე დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა ვეძიებე დედაჲ და ესთენ ვპოვე, ვერღარა შემეძლო ძებნაჲ; მერმე ესე მამათა მოწამეთაჲ, რომელი პარსადს არა ეწერა, იშხნით მოვიღე და მით გავასრულე.

„და ესე ცხოვრებანი დედათა და ღუთის მოყუარეთა მამათანი მიწყებით ამას ქუემოსა კერძოსა მოვაქციენ; თუმცა პირველ გამეგონა, თავსა ზედა მამათა მოწამეთაჲ კამდა. განა დედათა წამებითა და ცხორებითა ოდენ ვლამოდე განსრულებასა...

„ჭირნი კულა დიდნი მინახიან. ღმერთმან დაგაჯეროს. სული გრიგოლ პატარაისა მოიხსენეთ წმიდათა ლოცვათა თქუენთა.

„გაბრიელ ჰსკაველი და გაბრიელ ხორგაი დიად დამიდგეს თანა (ღმერთმან შეუნდვენ ცოდვანი!): ოდეს მიმჭირდის, მათ მივჰმართი, პურაი მციან.

„იოვანე გაცუეთილმან კუტალითა ღუნოჲ მომართუა.“

რახან დედნები უძებნია და ზოგი იშხნით მოუტანია, სჩანს ძველი თარგმანები უკვე ყოფილა.

ამ განხილვას ვასრულებ შატბერდის კრებულის სიტყვით.

შატბერდის კრებული: „წიგნი ქართველთა მოქცევისაჲ..., ვითარცა ტალანტი წინამძღვართაგან დაფარული, შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვპოვეთ“. (ეს კრებული შედგენილია მეათე საუკუნეში).

თუ მე-X საუკუნეში გაძნელებულ იყო „ტალანტის“ პოვნა, ჩვენ, „მეოცე“ საუკუნის შვილთ რად გვიკვირს, რომ VII საუკუნეზე უწინარეს წიგნს ვერ ვპოულობთ. თუ შატბერდის კრებული გუშინ მხოლოდ აღმოჩნდა, საკვირველი იქნება, რომ ზეგ ანუ მაზეგ კიდევ არ აღმოჩნდეს სხვა კრებული, უფრო უძველესი! ეს ძალიან შესაძლებელია და მოსალოდნელიც არის. ჩვენ ჯერ რიგიანად არა გვაქვს შესწავლილი ქართველთა მცირე აზიის მონასტრები, მაგ. კალიპოს მონასტერი, რომლის ერთი ტყავზე ნაწერი და საოცარ ხელოვნებითა და ცხოველ ფერადებით დახატული სახარება ეხლა ხელთა გვაქვს. რამდენი რამ საუნჯე აღმოჩნდება ამის შემდეგ კიდევ, ამას თვალწინ გვიყენებს სივრცელე უკვე აღმოჩენილ ქართულ ნაშთებისა მეათე საუკ. დასასრულამდე.

მ. ჯანაშვილი

იმაზედ ნაკლებ ჯამაგირს არ იღებენ, რამდენსაც ასეთივე მოხელენი საბერძნეთში, და ბევრს შემთხვევაში ამ უკანასკნელზედაც მეტსა. საბერძნეთში მინისტრს ეძლევა თვიურად 800 დრახმი და სახელმწიფო ეტლი. კრიტის მინისტრს სახელმწიფო ეტლი არ ეძლევა, მაგრამ სამაგიეროდ 1,050 დრახმი აქვს ჯამაგირად. ამასთანავე იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ ათინაში ერთი ორად უფრო ძვირია ცხოვრება, ვიდრე კანეაში. ყველაზედ მომეტებულ ჯამაგირს იღებს შვეიცარიელი ეტიენ დე-ბლონე, რომელმაც კუნძულის საფინანსო საქმეები უნდა მოაწყოს; იმას ეძლევა 25,000 ფრანკი თვეში.

—

**ჩინეთი.** ინგლისის ერთს დეპუტატს—მ. დრეგს შემდეგი აზრი გამოუთქვამს ჩინეთის მომავლის შესახებ: „იმ დასს, რომელსაც ცვლილების მოხდენა უნდოდა ჩინეთში, მომეტებულად იაპონიის მთავრობა აძლევდა მხარს და ხელმძღვანელი ამ დამარცხებული რევოლიუციისა იაპონიის უფროსი კონსული იყო შანხაიში. თუ კიდევ მოხდა მოძრაობა ცვლილებათა შემოღების სასარგებლოდ, შეიძლება მოხდეს რამე ცვლილება, მაგრამ ეს შედეგი იქნება იაპონიისა და ჩინეთის ერთმანეთთან შეტაკებისა. გარდა ამისა, ამ ცვლილებას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ის მოჰყვება, რომ იანცეკიანგის ვიცე-კოროლი დამოუკიდებლად გამოაცხადებს ამ ქვეყანას, ხოლო იუნანის ვიცე კოროლი ინგლისის მფარველობას მიიღებსო".

## სასამართლოს მატიანე

გაძარცვის საქმე.

2 აგვისტოს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა სერგეი ლებედინსკისა და ტფილისის მცხოვრების ილია ლომიძის საქმე, რომელთაც გაძარცვა ჰბრალდებოდათ. 1899 წ. 2 თებერვალს გვიან საღამოს, ქ. ტფილისში კანცელარიის მოსამსახურე ალ. ალექსეევი გაეცნო ერთს დუქანში ორ უმაწვილ კაცს, რომელთაგან ერთი იყო ს. ლებედინსკი, ხოლო მეორე ილია ლომიძე. დალია-რა ღვინო თავისს ახალ ნაცნობებთან, ალექსეევი მათთან ერთად გაემართა გოლოვინის პროსპექტისაკენ „პურ-მარილის" რესტორანში, სადაც იგი არაყით მალზედ დაითრო. მაშინ ლებედინსკიმ და ლომიძემ გამოუცხადეს შინამდე გაგაცილებთო, წაიყვანეს ხელით და გაიყვანეს ქუჩაში. მაგრამ იგი შინ წაყვანის მაგივრად არშაკუნის ერუ ქუჩაზედ გაიყვანეს; იქ ლებედინსკიმ მას უეცრად მუშტი დაჰკრა თვალში და შემდეგ-კი ლომიძესთან ერთად რჩობა დაუწყო, ვიდრე მან ცნობიერება არ დაჰკარგა, რის შემდეგ გაჰხადეს პალტო და ფეხსაცმელი, ააცალეს საათი და ქისა რომელშიაც 8 მ. იყო, და წავიდნენ.

სასამართლომ ბრალდებულნი დამნაშავეებად სცნო და გადაუწყვიტა ორივეს ყველა უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და კატორღაში გაგზავნა: ლებედინსკის ექვსის წლით, ხოლო ლომიძეს—ოთხის წლით.

## დამაკვირდა

—

ოდეს მშვიდობასა შინა იყო, საჭურველი აბჯარი მაშინ მოიმზადე, თვარა ჟამსა წყობისასა სამჭედუროს წარსლვა არღარა გერგოს.

საეკლ. მუზ. № 153

* * *

მოქმედ თვისითა კელითა ვიყვნეთ, რამეთუ კეთილ არს საქმე და რამეთუ უქმისადა არა ჟამჲ განწესებულ არს.

გიორგი მთაწმინდელი

* * *

კაცი ის არის, ვის მხოლოდ შრომა და კვალად შრომა ჴ ღვაწლი კეთილი მიაჩნია თვისს ხელთუქმნელ ძეგლად.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

წელს, როგორც „Temps"-ი იუწყება, ალჟირს მეტად ბევრი კალია შეჰსევია და იქაურის ნათესისათვის დიდი ზარალი მიუყენებია. როგორც ვუწყით, კალიის ამოწყვეტა ან განდევნა ეგრე ადვილი საქმე არ არის. იმ ქვეყნის ნათესი, რომელსაც იგი შეესევა, გაუნადგურებელი ძალიან იშვიათად გადარჩება. ვინაიდგან კალია ისეთი მავნე მტერია, რომ იმისაგან ნათესის გადარჩენა თითქმის შეუძლებელია, ზოგიერთ ალჟირელს სხვა გვარად განუზრახავს ჯავრის ამოყრა: უფიქრიათ, იქნება საჭმელად მაინც გამოვიყენოთო და ამ გვარად ცოტათი მაინც ავადგინოთ ის ზარალი, რომელსაც მწერი გვაყენებსო. აფრიკის ზოგიერთი ტომნი ამ ჟამად კალიას ხმარობენ კიდეც საჭმელად. აფთექის პატრონს ტუნისში ბ-ნს რეზენს ამას წინად პარიჟის ფარმაცევტთა საზოგადოებაში მოხსენება წაუკითხავს ამის შესახებ. რეზენი იმ აზრისაა თურმე, რომ კალიისაგან სამაგალითო კონსერვის მომზადება შეიძლებაო. რეზენი იმასაც-კი ამტკიცებს თურმე, რომ კალიისაგან მომზადებული კონსერვები არამც თუ ალჟირში, პარიჟსა და ევროპის სხვა ქალაქებშიაც გავრცელდება და ისეთივე გასავალი ექმნება, როგორიც დღეს სარდინკასა აქვსო.

* * *

ჩრდილო ამერიკაში სცხოვრობს ამ ჟამად ერთი ტომი ინდიელებისა, რომელსაც სახელად ჩეროკეზი ჰქვიან. ერთს ჩეროკეზს ამ რამდენისამე ხნის წინად გამოუგონია თავისს ტომისთვის ანბანი, რომლის შემწეობით ჩეროკეზებს შორის საოცარის სისწრაფით გავრცელებულა წერა-კითხვა. როგორც ერთი ამერიკული გაზეთი იუწყება, ამ ინდიელს სახელად სეკვაია ჰქვიან. ერთხელ ამ სეკვაიამ თავისს ტომის მეთაურებს გამოუცხადა, რომ შემიძლიან წიგნი დევსწეროთ ჩვენს ენაზეო. წაქეზების ნაცვლად სეკვაია გიჟად ჩაუთვლიათ. სეკვაიას თავისი არ დაუშლია და უფრო გულ-მოდგინედ შესდგომია ან-ბანის შედგენას. ჯერ სეკვაიას ყველა სიტყვისთვის ცალკე ნიშნის გამოგონება მოუწადინია, მაგრამ ბევრის წვალების შემდეგ, დარწმუნებულა, რომ ეს შეუძლებელი საქმეა. შემდეგ შესდგომია იმის გამოკვლევას, თუ ჩეროკეზთა ენაში რამდენი ცალკე ხმაა და ბევრის მეცადინეობის შემდეგ გამოუკვლევია, რომ ასეთი ხმა სულ 68 ია. მერე ყველა ამ 68 ხმისთვის საწერი ნიშნები გამოუგონია, შემდეგ ამ ნიშნების შეერთებით სიტყვები დაუწერია და ამ რიგად ან-ბანი შეუდგენია. ხელმეორედ დაუბარებია თავისი თანამემამულენი და გამოუცხადებია, რომ წიგნის დაწერა შემიძლიანო. დასამტკიცებლად უთხოვნია ერთისთვის ძალიან გრძელი სიტყვა წარმოსთქვი, მე ჩავწერავ ჩემის ნიშნებით და შემდეგ ყველა შენ ნათქვამს წავიკითხავო. იმასაც წარმოუთქვამს უშველებელი სიტყვა, სეკვაიას ჩაუწერია და შემდეგ გაკვირვებულ ხალხისთვის სიტყვა-სიტყვით წაუკითხავს. ახლა კი დარწმუნებულან ყველანი, რომ სეკვაიას მართლაც გამოუგონია წიგნის დასაწერი ნიშნები. ყველას მოუთხოვნია პირი ამ ნიშნებისა და შესდგომია სწავლას. შემდეგ ამერიკელებსაც შეუსწავლიათ ეს ახლად შედგენილი ან-ბანი, გადაუთარგმნიათ ამ ან-ბანის შემწეობით ინგლისურიდგან მრავალი წიგნი ჩეროკეზულ ენაზედ და გაუვრცელებიათ ხალხში. ეხლა ჩეროკეზთა შორის არც ერთი კაცი, ქალი და მოზრდილი ბავშვი არ მოიპოვება თურმე, რომელმაც კითხვა არ იცოდეს.

* * *

ლივერპულში ერთ კაცს, არყისა და სხვა მაგარ სასმელების მხდელ ქარხნის პატრონს, ამ სასმელების გასასაღებლად შემდეგი რეკლამა მოუგონია: გამოუწერია ბრაზილიიდგან 400 თუთიყუში და დაუსწავლინებია მათთვის შემდეგი ოთხი სიტყვა: „შეექეცით ელზერმენის მშვენიერ არაყსაო". შემდეგ გალიებში ჩაუსხამს და დაურიგებია ლივერპულელ ტრაქტირების პატრონებისათვის, რომელთაც გალიები თავიანთ ტრაქტირების წინ ჩამოუკიდნიათ. თუთიყუშები დილით-საღამომდე გაიძახოდნენ თურმე გაზეპირებულ სიტყვებს და ბოლოს თავიანთის ქვიტინით ისე მოუბეზრებიათ თავი მცხოვრებლებისათვის, რომ ამ უკანასკნელთ საჩივარი აღუძრავთ იმათ წინააღმდეგ. ერთ მშვენიერ დღეს ყველა გალიები ჩამოუხსნიათ და სადღაც წაუღიათ. ქალაქში ხმა გავრცელდა თურმე, რომ თუთიყუშები საქმის გარჩევამდე საპყრობილეში დაამწყვდიესო.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 აგვისტო.

**რენნი.** დილის 6 საათსა და 45 წუთს ლაბორის რევოლვერი ესროლეს, იმ დროს, როდესაც წყლის ნაპირის ქუჩაზედ მიდიოდა. ტყვია ზურგში მოხვდა. ჭრილობა საშიშია.

**რენნი.** ლაბორი შატობრიანის ქუჩაზედ მიდიოდა ლიცეისაკენ. ვიღაც მაწანწალა, რომელიც კედელს ეფარებოდა, გამოვიდა სამალავიდგან, მივიდა ლაბორისთან უკანიდგან და რევოლვერი ესროლა. დაჭრილი მიწაზედ დაეცა. რამდენიმე კაცი მიჰვარდა და ლაბორის მიეშველა. მკვლელი დაიმალა, მაგრამ ზოგიერთთ თვალი მოჰკრეს და განაცხადეს, რომ გაცვეთილი ტანისამოსი ეცვაო. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. დემანჟის მდივანმა, კოლლენმა, სთქვა, რომ ლაბორის ჭრილობა საშიშოაო: ორი ტყვია მოურტყამთ, ერთი ზურგში, მეორე—ლოყაშიო. როდესაც რევოლვერი ესროლეს, ლაბორისთან იყვნენ პიკარი და გასტა. ორივენი ბოროტ გამზრახველს გამოუდგნენ, მათ პოლიციელებიც მიეშველნენ, მაგრამ იმათმა მეცადინეობამ ამაოდ ჩაიარა. ამავე დროს ლაბორი თავისს ბინაზედ გადაიტანეს. ამბობენ, რომ ჭრილობა ისეთი საშიში არ არის, როგორც წინად ეგონათო.

სამხედრო სასამართლოს კრება დაიწყო 6 საათსა და 40 წუთზედ. დემანჟმა სთხოვა სასამართლოს, კრება ცოტა ხანს შეაჩერეთ, ვიდრე ლაბორის შესახებ ნამდვილი ამბავი მოვიდოდესო. სასამართლო მოსალაპარაკებლად გავიდა... კრება განახლდა 7 საათსა და 20 წუთზედ. დემანჟმა განაცხადა, რომ ლაბორი დაჭრილია, თუმცა საშიშოდ-კი არა, მაგრამ კრებაზედ დასწრება მაინც არ შეუძლიანო. მერსიემ განაგრძო ჩვენება. ჩემის აზრით, ბორდეროს ავტორი ესტერგაზი არ არისო, გაიძახოდა იგი.

ის კაცი, რომელმაც ლაბორი დასჭრა, ჯერ არ დაუპატიმრებიათ, მაგრამ იმის დაპატიმრებას ყოველ წუთს მოელიან.

სამხედრო სასამართლო. კაზიმირ პერიე აცხადებს, რომ ლებრენ-რენოსაგან არავითარი ცნობა არ მიმიღია დრეიფუსის გამოტეხის შესახებაო. მერსიე-კი ამბობს, რომ როდესაც ლებრენ-რენომ დრეიფუსის გამოტეხის ამბავი გადმომცა (გონზიც იქ იყო მაშინ), ვუბრძანე ლებრენს პერიესთან წასულიყოო. პერიე დაუბრუნდა ხელ-ახლა სადიპლომატო ინციდენტს და სთქვა, რომ მოლაპარაკება მქონდა მხოლოდ მინისტერთან და ამ ლაპარაკიდგან ის აზრი გამოვიტანე, რომ ყველაფერი მშვიდობიანად არის, უამისოდ საქმე ერთის ნოტის შედგენით არც გათავდებოდაო. არავითარი დეპეშა მოკავშირე სახელმწიფოსთან არა ყოფილა გაგზავნილი. ინციდენტი გაახვიადესო.

ბილიომ ილაპარაკა შერერ-კესტნერის უნაყოფო მეცადინეობის შესახებ. შერერ-კესტნერმა მთხოვა დრეიფუსის საქმეს შევდგომოდიო. შემდეგ ბილიომ ილაპარაკა პიკარის შესახებ და განაცხადა, რომ პიკარი ნება-დაურთველად მოქმედებდა ესტერგაზის წინააღმდეგაო. ბილიო შემდეგ შეუდგა ბორდეროს განხილვას, მაგრამ ახალი არაფერი არ უთქვამს. შემდეგ სთქვა, ერთმა ლიონელმა ვაჭარმა, სახელად ვილიონმა გადმომცა, რომ დავესწარი ორის უცხო-ქვეყნელის აფიცრის ლაპარაკს, რომელთაგან ერთმა სთქვა: „მეზიზღება ეს ფრანგი აფიცრები, რომელნიც თავიანთ სამშობლოს ჰყიდიანო". მეორემ მიუგო: „დრეიფუსი გვაძლევს მობილიზაციის გეგმასო". დასასრულ ბილიომ განაცხადა, რომ ამის მეტს ჩემს ჩვენებას ვერაფერს დაუმატებო. პირველ ხანს, როდესაც პიკარი მელაპარაკა, ეჭვში შევედი და ეს ეჭვი ბარტუსა და პუანკარესაც გამოუცხადე, მაგრამ მან შემდეგ ჩემი რწმენა, რომ დრეიფუსი დამნაშავეა, აღარ შერყეულა დღემდისაო. დრეიფუსი ფეხზედ წამოდგა და მტკიცე ხმით ორჯელ განაცხადა, რომ ვაჭარ ვილიონის მიერ გადაცემული ნალაპარაკევი გამოგონილიაო.

კრება შეაჩერეს. განახლებისას კავენიაკმა განაცხადა, რომ მჯერა დრეიფუსის დამნაშავეობა, რომელიც ლებრენ-რენოს განცხადებით მტკიცდება და რომელიც საბუთდება კაპიტანის და ოტელის მოწმობით, აგრეთვე დრეიფუსის სიტყვებით: „თუ გავეცი რამე საბუთის ქაღალდი, ისიც უმნიშვნელო, მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მნიშვნელოვანი ქაღალდები მიმეღოო". კავენიაკი შემდეგ შეეხო იმ საბუთის ქაღალდებს, რომელიც ბორდეროშია ჩამოთვლილი. კავენიაკმა სთქვა: „ღალატი მთავარ შტაბში მოხდა; გაცემული ქაღალდები დრეიფუსმა უწყოდა; იგი ყველგან შედიოდა, მას ყველაფრის შეძენა შეეძლო; იმან ყველაფერი იცოდა." შემდეგ დაუმატა: „ესტერგაზი არ იქმნებოდა მთავარი მოღალატე; ის მხოლოდ უმნიშვნელო მონაწილეობას გასწევდა ამ საქმეში-"ო. რაც შეეხება ბორდეროს ხელს, უნდა გამოვტყდე, რომ ამ საგნის შესახებ ეჭვი შემეპარაო. ბერტილიონის დასკვნამ არ დამარწმუნაო. დემანჟის კითხვაზედ ბილიო გამოტყდა, ბარტუსა და პუანკარეს წინაშე ეჭვი განვაცხადე დრეიფუსის დამნაშავეობის შესახებაო. ჩემი რწმენა,—განაგრძო იმან,—ბორდეროს ხელზე არ არის დამყარებული. ნამდვილი საბუთები dossier-შია. როდესაც თავმჯდომარემ ჰკითხა ანრის სიყალბის შესახებ, კავენიაკმა სთქვა, რომ ანრის სიყალბეს იმ ფაქტების დაფასებასთან, რომლის განხილვაც დღევანდელ სასამართლოს საქმეა, კავშირი არ უნდა ჰქონდესო. დრეიფუსი წამოდგა: „მე მიკვირს,—სთქვა იმან,—რომ კაცი, რომელმაც ანრის სიყალბე გამოააშკარავა, ჩემს დამნაშავეობას გაიძახის".

ცურლინდენმა განაცხადა, მჯერა, რომ დრეიფუსი დამნაშავეაო. ამას ამტკიცებს ბორდერო. დრეიფუსი სამართალში მოულოდნელად იქმნა მიცემული, ამიტომ შეუძლებელია, რომ წინადვე იმის წინააღმდეგ რაიმე ხრიკები ეხმარათ, ან ბორდერო ესტესგაზის შეედგინაო. როდესაც შეეკითხნენ, ცურლინდენმა მიუგო; მართალია, რათა კაცმა ყოველივე სიმართლე იცოდეს ბორდეროს შესახებ, საჭიროა იმ საბუთების მოძებნა, რომელიც იქ არის ნახსენებიო. გენერალმა შანუანმა განაცხადა, მეც მჯერა, რომ დრეიფუსი დამნაშავეაო.

ჰანოტომ განაცხადა, რომ როდესაც მერსიემ ამ საქმის ამბავი გადმომცა, მე წინააღმდეგი გავხდი იმისა, რომლითაც ვითომ დრეიფუსის დანაშაულობას ამტკიცებდნენ. შემდეგ ჰანოტომ ილაპარაკა უცხო სახელმწიფოს საელჩოსთან მოლაპარაკების შესახებ, რომელიც პროცესის წინა დღეს რესმანის გაწვევით გათავდა და ამ გარემოებამ უიმისოდაც სერიოზული მდგომარეობა უფრო გააძნელა. მე ვთხოვე მერსიეს საქმისთვის მსვლელობა არ მიეცა, მაგრამ მერსიე შეურყეველი აღმოჩნდა.

კრება ოთხშაბათამდის გადასდეს. მოსამართლენი ისე დაიშალნენ, რომ არაფერი არ მომხდარა. ხალხი გაიძახოდა: „გაუმარჯოს ჯარს, გაუმარჯოს მართლ-მსაჯულებასაო!" ლაბორის ჯან-მრთელობის შესახებ ბიულეტენში ნათქვამია, რომ ტყვია ბეჭ-ქვეით მარჯვენა მხარეს გაიჭედაო. ჯერ მკურნალებს ვერ გაუგიათ, ფილტვები და ზურგის ტვინი უვნებელია თუ არა. ჰფიქრობენ, რომ თუ ავადმყოფობა არ გაძნელდა, ლაბორი ერთის კვირის შემდეგ სასამართლოს დაუბრუნდებაო. ბოროტ-მომქმედი ჯერ არ დაუპატიმრებიათ, მაგრამ გაცხარებულიკი დაეძებენ.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

გთხოვთ შემიმოწმოთ, რომ მე არა ვარ მომწერი გაზეთ „ივერიის" მე-160 №-ში დაბეჭდილ დუშეთიდგან მოწერილ ამბისა აქ გამართულ წარმოდგენის შესახებ. არც შეიძლებოდა ამ წარმოდგენის თაობაზე იმის თქმა, რომ იგი საქველ-მოქმედო აზრით არ იყო გამართულიო, რადგან თავის დროზედ საყოველთაოდ იყო გამოცხადებული საქველ-მოქმედო აზრი ამ წარმოდგენისა.

დ. ხიზანაშვილი *)

*) ვამოწმებთ, რომ ჩვენის გაზეთის მე-160 №-ში დაბეჭდილი ახალი ამბავი დუშეთში გამართულ წარმოდგენის შესახებ ბ-ნ დ. ხიზანაშვილის მოწერილი არ არის. რედ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 3-го Августа 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.